ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №37

2020 წლის 28 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,საქართველოს სივრცით დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსის“ 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დადგინდეს მშენებლობის დეტელური შეტყობინების ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობის მშენებლობისათვის განმცხადებელი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს წარუდგინოს წინასაპროექტო კვლევის შედეგები, თუ დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს:

ა) ორ სრულ სართულზე მეტი შენობა-ნაგებობის მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

ბ) უძრავი ძეგლის 50 მეტრის არეალში, მდინარეების ჯებირებიდან (კიდეებიდან) 50 მეტრის არეალში, ტბების და წყასაცავების პერიმეტრის 50 მერტიან არეალში მშენებლობას/რეკონსტრუქციას.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — კარლო ჯამბურია